ID:206344972

16.05.2026
26-01/149

ბიულეტინი

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის მოსამზადებელ პერიოდში შესაძლო დარღვევების შესახებ.

არაოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე განჩნდა ეჭვი, რომ ზოგიერთი მონაწილის მხრიდან ადგილი ქონდა ავტომობილების დაკიდების სისტემაში თვითნებურ ჩარევას, რაც გულისხმობს რემონტს ან მოდიფიკაციას.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატი (GTCC) რეგულირდება ფედერაციის მიერ გამოცემული და დამტკიცებული კლასის რეგლამენტით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ის დაშვებები და შეზღუდვები, რომლის განხორციელების უფლებაც კლასის მონაწილეებს აქვთ ან არ აქვთ. რეგლამენტის 1.3. პუნტქის თანახმად - ყველაფერი, რაც ტექნიკური რეგლამენტით არ არის დაშვებული, აკრძალულია, შემდგომი ცვლილებების განხორციელებამდე და გამოქვეყნებამდე. შესაბამისად, რეგლამენტში არ არის მითითებული დაკიდების სისტემის თვითნებური რემონტი ან მოდიფიკაციის დაშვება, რაც ავტომატურად გულისხმობს მისი დაზიანების შემთხვევაში ახლით ჩანაცვლებას.

მიმდინარე წლის 31 მაისს, საქართველოს ჩემპიონატის რიგით მეორე ეტაპზე, განხორციელდეს გაძლიერებული შემოწმება და კონტროლი სარბოლო ავტომობილების დაკიდების სისტემებზე როგორც რბოლის წინ, ასევე რბოლის შემდგომ. ნებისმიერ ავტომობილზე ეჭვის გაჩენის ჩემთხვევაში, რბოლის შემდეგ, ავტომობილი განთავსდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, მოიხსნება მისი დაკიდების სისტემა და დაექვემდებარება შემოწმებას სპეციალურ სტენდზე, სადაც მოხდება მისი პარამეტრების შედარება დაკიდების სისტემის ქარხნულ პარამეტრებთან. მომატებული სიხისტის აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნულ პილოტს გაუნულდება ეტაპის ქულები და სპორტული საბჭო იმსჯელებს დამატებით სანქციაზე.

პატივისცემით,

ფედერაციის პრეზიდენტი

ალექსანდრე ლომაძე

GASF GEORGIAN AUTOMOBILE SPORT FEDERATION
საქართველო • GEORGIA • 206344972